პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი ხუთშაბათი 13 ნოემბერი № 260 (17903) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის მევენახეთა დიდი გამარჯვება

პრის 800.000 ტონა ყურძენი

ყურძნის კრეფა გრძელდება.

მარანი ივსება

რეკორდებს საზღვარი არა აქვს. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ჩვენმა სახელგანთქმულმა მევენახეებმა, 'რომლებმაც მოიწიეს რეკორდული მოსავალი — 800.000 ტონა ყურძენი. საქართველოს მევენახეობის განვითარების ისტორიას ასეთი რამ ჯერ არ ახსოვს. მევენახეები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს გეგმა და სოციალისტური ვალდებულებები, განაგრძობენ ყურძნის კრეფას, მტკიცე ნაბიჯით მიდიან სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად.

გამარჯვებას ადვილად როდი მიაღწიეს. მის მოპოვებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს, უპირველეს ყოვლისა, გურჯაანის რაიონის მშრომელებმა, კახეთის დანარჩენი რაიონების მევენახეებმა, რომლებმაც შეძლეს რთულ პირობებში ღირსეულად გაერთვათ თავი ნაკისრი ვალდებულებებისათვის.

ეს მიღწევები შედეგად მოჰყვა დაძაბულ შრომას, იმ პარტიული კომიტეტებისა და კომუნისტების დიდ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, სათავეში რომ ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელშიც ჩაება რთველის ყველა მონაწილე — მევენახეები, ტრანსპორტისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები, საყოფაცხოვრებო სამსახურის, საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის მუშაკები.

(საქინფორმი).

ალმშენებლობის ახალი მიჯნებისაკენ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი. სურათზე: საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის სხდომა.

ფოტო ს. კილაძისა.

ლენინური პარტიის ერთგული კურსით

ზრომითი კოლექტივების დარაზმა ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის იყო ომ სოფუძვლიანი, პრინციპული სკა-ბაასის თემა, რომელიც 11 ნოემბერს გაიმართა ბელორუსიის, აზერბაიჯანის და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმზე.

მინსკი. საბჭოთა ბელორუსიის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისთვის პარტიის კურსის თანამიმდევრული განხორციელების საფუძველზე ხუთწლეულში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. ამის მკაფიო მაგალითები მოიყვანა მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ი. კისელიოვმა.

ბაკო. მნიშვნელოვანი შედეგებით ამთავრებენ ხუთწლეულს აზერბაიჯანის მშრომელები. შესამჩნევად ამაღლდა წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, უზრუნველყოფილია ცხოვრების დონის განუხრელი ზრდა. რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა.

პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ა. ალიევის მოხსენებაში და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბატონად ლ. ი. ბრეჟნევის ნაკუწა გამოსვლა ბრუნვინვალეა ბრუნვინვალეა ბრეჟნევის შრომელთა კეთილდღეობისათვის, ბედნიერებისათვის, სახალხო მეურნეობის ჰარმონიული განვითარებისათვის.

ერევანი. მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარების დაჩქარებულმა ტემპმა, მისი სტრუქტურის სრულყოფამ, პატარა ქალაქებში საწარმოო ძალების განაწილებამ სომხეთის მშრომელებს საშუალება მისცა წარმატებით გადაეწყვიტათ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

პლენუმზე მომხსენებელმა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ს. დემირჩიანმა და ორატორებმა ა. ბაუსვეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა უზრუნველსაყოფად, ისინი გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას — ღირსეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადება აღინიშნონ ახალი წარმატებებით ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა განსაზღვრავს ამ დღეებში რესპუბლიკის მთელი ცხოვრების შინაარსს. საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახში საქართველოს მშრომელები წარმატებით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მათ შეძლეს დაეძლიათ სერიოზული ჩამორჩენა ეკონომიკის ყველა დარგში და გასულიყვნენ სამეურნეო განვითარების მოწინავე მიჯნებზე. მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების მოცულობის ათი თვის გეგმა. ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება ჯერ კიდევ ოქტომბრის დამლევს უპატაკეს სამშობლოს თბილისს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა.

ყოველ დღეს და ყოველ საათს მოაქვს სასიხარულო ამბები ახალი მესანიშნავი მიღწევების შესახებ, ისინი გვაახლოებენ ხუთწლედის მიზნებს. დიდი ოქტომბრის 63-ე წლისთვის წინ დამთავრდა სრულიად საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის — ენერჰესების ავება. ამიერკავკასიის ამ უდიდესი ენერგოგიგანტის თითოეული 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის ხუთივე აგრეგატი კომენინმიზმისათვის მუშაობს. მწყობრში ჩადგა ნავთობსადენი სამგორ-ბათუმი. პირველი პროდუქცია გამოუშვა რუსთავის რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა ქარხანამ. მწყობრში დგება დიდი ქიმიის სამძლავრენი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მიღწევები... ისინი ბევრია, და ყოველ მათგანში ჩაქსოვილია მშენებლების, მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თავდადებული შრომა. მათ პატივსაცემად — სოციალისტური შეჯიბრების მეწინავეთა პატივსაცემად არაერთხელ აღმართულა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

შთამბეჭდავია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებები. მოწეულია ჩაის ფოთლისა და ყურძნის რეკორდული მოსავალი. ნახევარმილიონიანი მიჯნა გადალახეს მეჩაიეებმა, 800 ათასამდე ტონა ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფო მარანს მევენახეებმა, კარგად იმუშავეს საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმაც.

ახალ მიჯნებს მიაღწიეს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა.

ეს მიღწევები, მომავლის გეგმები ფართოდ და ყოველმხრივ იყო გაანალიზებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულ პლენუმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში და ორატორთა გამოსვლებში.

წინ კი რესპუბლიკის მშრომელებს ბევრი საქმე ელით. განსაზღვრონ, კომუნისტური აღმშენებლობის ახალი ნიშანსვეტები, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი განვითარების გზები — ყველა ამ საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხს გადაწყვეტენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებმაც რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოიყარეს თავი რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე. სესიის პირველი სხდომა გაიხსნა დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ნ. ვ. გურგენიძე, გ. ვ. კვენფინია, ზ. ო. ვასაძე და თ. შ. ქაბულოვა.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გელაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჯითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ, მან წამოაყენა წინადადება ფეხზე ადგომით პატივი ეცათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების გ. ა. ყულჯანაშვილისა და ი. ე. ნონეშვილის ხსოვნისათვის.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ვ. კობაიძის მოხსენება გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების შემოწმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა:

„ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლონგინოზ ლევანის ძე ზაქაიძის უფლებამოსილებანი, რომელიც არჩეულია დმანისის რაიონის ამომლოს საარჩევნო ოლქში“.

დეპუტატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

სესიაზე განსახილველად შემოტანილია საკითხები:

1. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

2. საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის პროექტი.

4. საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ დებულების პროექტი.

5. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის სატრანსპორტო ორგანიზაციებში დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მოხსენება.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი თ. შ. ქაბულოვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებისათვის იგი სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ დ. ლ. ქართველიშვილს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებას გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ფ. ა. ანანიაშვილმა.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ა. ჩხეიძემ.

დეპუტატებმა დაიწყეს დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის გამო მოხსენებებისა და თანამოხსენების განხილვა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ც. ვ. კუჯაშვილი (მანავის საარჩევნო ოლქი, საგარეჯოს რაიონი), ვ. მ. ცუგბა (ოჩამჩირის პირველი საარჩევნო ოლქი, ოჩამჩირის რაიონი), ა. კ. ბახტაძე (შუამთის საარჩევნო ოლქი, ვანის რაიონი), დ. დ. დიასამიძე (ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი, ხელვაჩაურის რაიონი), გ. ს. შუღაროვი (არაკვის საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), ა. ნ. ვაჭარაძე (გორის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), ი. ა. ხარატიშვილი (ყახდაურის საარჩევნო ოლქი, საგარეჯოს რაიონი), ე. კ. ირემაშვილი (პიონერის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ჯ. ი. გუგუჩია (ცხახათის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი).

ხალხის რჩეულნი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილავენ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს. ისინი ხაზს უსვამენ, რომ მომავალი წელი განსაკუთრებულია — იგი დასაბამს აძლევს მეთერთმეტე ხუთწლედს. ეს არის სკკპ XXVI ყრილობის წელი, ყრილობისა, რომელიც განსაზღვრავს კომუნიზმის მშენებლობის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის პერსპექტივებს. რესპუბლიკის მშრომელებისათვის ეს არის აგრეთვე საიუბილეო წელი— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის წელი.

ამ საზეიმო თარიღებს რესპუბლიკის მშრომელები ეგებებიან მიღწეული წარმატებებისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით, შემოქმედებითი ძალებით, ხვალინდელი დღის რწმენით აღსავსენი.

დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მთელი ქართული ხალხის ღირსების საქმეა თავდადებული შრომით უზრუნველყოს საიუბილეო წლის დავალებათა წარმატებით შესრულება, ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

რესპუბლიკის მშრომელებისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, შემოქმედებითი შთაგონების წყარო, მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა, აღნიშნეს მათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელშიც ღრმად და ყოველმხრივ არის განანალიზებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, დასაბუთებულია მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის გზები, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ყრილობის წინ პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარებას, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას.

დასახული მიზნების მიღწევის საწინდარია, აღნიშნეს დეპუტატებმა, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს ახალი ნაბიჯი გადაიდგმება პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელების გზაზე.

ამით მთავრდება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

12 ნოემბერს 15 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის საღამოს სხდომა. მას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ნ. ვ. გურგენიძე.

დეპუტატებმა განაგრძეს დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის გამო მოხსენებებისა და თანამოხსენების განხილვა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნ. გ. ვაშაძე (ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, ქ. ტყიბული) და ც. ვ. თლაკვაძე (შუმოქმედის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი).

საქმიანობა, სერიოზული ეკონომიკური ანალიზი, მიღწეული წარმატებებისა და არსებული ნაკლოვანებების ობიექტური შეფასება — ასეთია ყველა გამოსვლის მთავარი ნიშანი. ადგილებზე საქმის ვითარების დახასიათებისას, დეპუტატები ავლენდნენ წარმოების რეზერვებს, ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა, დაიბეგროს ეკონომიკური მშენებლობის მართვა.

დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის გამო კამათი მთავრდება.

საბოლოო სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დეპუტატი დ. ლ. ქართველიშვილი.

ერთსულოვნად იღებენ კანონს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. მტკიცდება დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ფ. ა. ანანიაშვილის საბოლოო სიტყვა.

უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად იღებს კანონს საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და ამტკიცებს რესპუბლიკის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

სესია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას.

მოხსენება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის საბრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ბ. ბ. ტეზოვი (კარლ მარქსის საარჩევნო ოლქი, ქ. ცხინვალი), პ. ა. ნანიეი (ცვაისის საარჩევნო ოლქი, ჯავის რაიონი) და ო. გ. ვარძელაშვილი (ლესის საარჩევნო ოლქი, ლანჩხუთის რაიონი).

კამათში გამოსულმა ყველა დეპუტატმა ერთსულოვნად გაუსვა ხაზი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სესიის განსახილველად წარმოდგენილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის პროექტს. მათ აღნიშნეს, რომ ამ საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც ამომწურავად არეგულირებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამართლებრივი სტატუსის ყველა მხარეს, ხელს შეუწყობს საოლქო საბჭოს საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, ნათლად დაადასტურებს ჩვენი წყობილების დემოკრატიულობას.

უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“. მიღებულია აგრეთვე დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვას. მოხსენება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ დებულების პროექტის თაობაზე“ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ა. ი. ბახოლდინი (გურამიშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი) და ა. ა. შუშანიშვილი (თერჯოლის საარჩევნო ოლქი, თერჯოლის რაიონი). მათ აღნიშნეს, რომ ადვოკატურის შესახებ დებულება გამომდინარეობს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციიდან და შემუშავებულია სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მიიღო. დებულების პროექტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ადვოკატთა კოლეგიის წევრთა უფლებები და მოვალეობანი, ჩამოთვლილია იურიდიული დახმარების სახეობანი, რომელსაც ადვოკატები უწევენ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, ასახულია ადვოკატების მიერ სასამართლოებში, არბიტრაჟსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში სამოქალაქო საქმეებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმეების, სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვაში, აგრეთვე წინასწარ გამოძიებაში წარმომადგენლობის განხორციელების კონკრეტული ფორმები.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება განხილული საკითხის გამო.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მოხსენება: რესპუბლიკის სატრანსპორტო ორგანიზაციებში დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლითაც გამოვიდა ამ კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ბ. ზ. ბარსუკოვი.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ბ. ი. ხაჩიე (ლენინის საარჩევნო ოლქი, ხაშურის რაიონი) და თ. ნ. დავითაშვილი (სურამის საარჩევნო ოლქი, ხაშურის რაიონი).

უმაღლესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონები.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ამოიწურა. სესიის მუშაობამ ნათლად ასახა რესპუბლიკის მძლავრი შრომითი რიტმი, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, რესპუბლიკის ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღების— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაზრდილი სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანება, რესპუბლიკის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება გადაეჭიმონ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი ახალ შესანიშნავ მიღწევათა წლად, ღირსეული წვლილი შეიტანონ მშობლიური კომუნისტური პარტიის მომავალი ყრილობისათვის შრომითი ნობათების საერთო ყულაბაში.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ერთობლივი განცხადება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1980 წლის 27 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარე, სოციალისტური ეთიოპიის რევოლუციური არმიის მთავარსარდალი მენგისტუ ჰაილე მარიამი.

გაიმართა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება ორმხრივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ძირითად საერთაშორისო პრობლემებზე. მოლაპარაკებას, რომელშიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, აწარმოებდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი;

ეთიოპიის მხრივ — ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარე, სოციალისტური ეთიოპიის რევოლუციური არმიის მთავარსარდალი მენგისტუ ჰაილე მარიამი, ეთიოპიის დროებითი სამხედრო

(დასასრული მე-3 გვ.).

ვიზიტად მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 12 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურჰო კეკონენი.

აეროდრომზე სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკენფორმი).

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ დ. ლ. ქართველიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იღწიან მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. სწორედ ასეთი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში განიხილავს დღეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებს.

ეს ამოცანები გამომდინარეობს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ ყოვლისმომცველი და ვრცელი პროგრამიდან, რომელიც 1981 წლისათვის განისაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმსა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე, მეცნიერულად დასაბუთდა პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან გამოსვლაში.

ამ ამოცანათა შესაბამისად მომავალ წელს ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული მაჩვენებელები და მოჯნები ასახულია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ სესიის განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტში.

გეგმის პროექტში, რომელიც შედგენილია რესპუბლიკის დაჩქარებული საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების გრძელვადიანი კურსის შესაბამისად, სათანადო განხილვის შემდეგ გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი.

გეგმის პროექტი განიხილა და ძირითადად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გუშინ გაიმართა. პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში დაისახა 1981 წლისათვის რესპუბლიკაში პარტიის მოზაფდასახულობათა თანამიმდევრულად განხორციელების, მაღალი სამეურნეო შედეგების მიღწევის ძირითადი გზები და მიმართულებანი, ეკონომიკის სფეროში ორგანიზაციურული და პოლიტიკური. საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების უმთავრესი ამოცანები.

პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე მიმდინარე წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების საკითხებს.

ამასთან დაკავშირებით, ნება მიბოძეთ, ვიდრე მომავალი წლის საგეგმო დავალებათა დახასიათებას შევუდგებოდე, მოკლედ მოგახსენოთ „ის სახალხო-სამეურნეო შედეგები, რომელთაც რესპუბლიკა აღწევს ხუთწლედის დამამთავრებელ წელსა და მთლიანად 1976-1980 წლების მანძილზე.

მიმდინარე წლის ათ თვეში სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები ინონისძიებანი, რომლებიც ამჟამად ხორციელდება დარჩენილ პერიოდში რესპუბლიკის ეკონომიკის წინაშე დგმულ ამოცანათა გადასაწყვეტად, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმა ძირითად მაჩვენებელთა მიხედვით წარმატებით შესრულდება.

რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ათი თვის გეგმები ვადამდე — 29 ოქტომბერს შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 89 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 107,6 პროცენტი შეადგინა.

ასეთი სწრაფი ტემპი ჩვენ მეათე ხუთწლედის არც ერთი განვლილი წლის შესაბამის პერიოდში არ გვქონია.

შთამბეჭდავია სოფლის მეურნეობაში მიღწეული შედეგები.

წარმატებით ვითარდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგები. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიმდინარე წლის ათ თვეში ათვისებულია 1054,3 მილიონი მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, შესრულებულია 638,2 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რაც შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებზე შესაბამისად 8 პროცენტით და 6 პროცენტით მეტია.

1980 წლის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით, აგრეთვე წინა ოთხ წელიწადში მიღწეული მაჩვენებლების საფუძველზე რესპუბლიკა წარმატებით ასრულებს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეათე ხუთწლედისათვის განსაზღვრულ დავალებებს.

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამით.

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი შედეგია საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარება. წინასწარი შეფასებით, 1980 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 1975 წელთან შედარებით 39 პროცენტით და მეტად გაიზრდება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 35 პროცენტას ნაცვლად. ეროვნული შემოსავლის მატების ტემპი ამ პერიოდში 43 პროცენტს მიაღწევს, რაც ხუთწლედის დავალებაზე 10 პუნქტით მეტია.

როგორც უკვე მოგახსენეთ, მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომით შესაძლებელი გახდა შექმნილიყო პირობები წარმოების ზრდის ტემპის მიხედვით მეათე ხუთწლედის მეტად დაძაბული დავალების შესასრულებლად. ამასთან, თვით მრეწველობაში უფრო სწრაფი ტემპით იზრდება ისეთი პროგრესული დარგის პროდუქცია, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონული და რადიომრეწველობა და ა. შ.

საკმარისია ითქვას, რომ მთლიანად მანქანათმშენებლობის პროდუქცია ხუთი წლის მანძილზე 56 პროცენტით, ანუ მრეწველობის საშუალო მაჩვენებელზე 15 პუნქტით უფრო სწრაფად გაიზრდება. მეათე ხუთწლედის წლებში 13-ჯერ გადიდდება ნავთობმომპოვებელი მრეწველობის პროდუქცია. სწრაფი ტემპით ვითარდება აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა, განსაკუთრებით ჩაისა და ღვინის წარმოება. მთლიანად სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება რესპუბლიკაში 1976-1980 წლებში 40,1 პროცენტით იზრდება.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. დარგის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 35 პროცენტით გაიზრდება გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტის ნაცვლად.

მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განახლდა და განმტკიცდა სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1976-1980 წლებში ათვისებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა წინა ხუთწლედის მაჩვენებელს 32,7 პროცენტით აღემატება, ხოლო ამოქმედებული ძირითადი ფონდებისა — 42 პროცენტით. ამასთან ხუთწლიან გეგმასთან შედარებით ათვისებულია 286 მილიონი მანეთით მეტი კაპიტალდაბანდებანი და შესრულებულია 150 მილიონი მანეთით მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

წარმოების ეფექტიანობის ზრდას ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვამ. მეათე ხუთწლედში ამ მიმართულებით თითქმის 33 პროცენტით მეტი ღონისძიება განხორციელდა, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში.

თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს პროდუქციის ხარისხის ამაღლების დარგშიც. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის (სასურსათო პროდუქტების ჩათვლით) ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში წელს 21 პროცენტამდე გაიზრდება 1975 წლის 2,3 პროცენტის ნაცვლად.

1976-1980 წლებში განუხრელად ხორციელდებოდა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსი, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა განხორციელების კვალობაზე ხუთწლედში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 22 პროცენტით გაიზრდება, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — ერთახევარჯერ და მეტად. მზარდი ფულადი შემოსავლის უკეთ რეალიზაციის მიზნით ხორციელდებოდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ღონისძიებანი. საქონელბრუნვის ზრდა ხუთწლეულში 34 პროცენტს აღწევს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა კი 59,4 პროცენტს. მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდა განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი, შესრულდა დიდი საბინაო მშენებლობის პროგრამა, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 8,2 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საბინაო პირობები გაუუმჯობესდება 121,5 ათას ოჯახს.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში მიღწეული შედეგები გამოხატულებას პოულობს რეალური შემოსავლის ზრდით. ერთ სულ მოსახლეზე იგი 25,3 პროცენტით გადიდდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 21,9 პროცენტის ნაცვლად.

ამხანაგო დეპუტატებო!

მიღწეულ თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მატერიალური წარმოებისა და მომსახურების ზოგიერთ დარგში ჯერ კიდევ არის გადაწყვეტელი ამოცანები, სრულად არ არის გამოყენებული ეფექტიანობის ზრდისა და შუამავლის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვები.

ეს ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ მრეწველობის ცალკეული დარგები ვერ უზრუნველყოფენ ხუთწლიანი გეგმით დასახული განვითარების ტემპის მიღწევას. ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული დარგების განვითარებაში, აგრეთვე, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებით, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმსა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე აღინიშნა.

მაგრამ ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თვით ჩამორჩენილ საწარმოებსა და გაერთიანებებში ეფექტიანობა ვერ განხორციელდა წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლენის, მატერიალური რესურსებისა და სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების ღონისძიებანი. ამას ადასტურებს თუნდაც შრომის ნაყოფიერების ზრდის და ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შეუსრულებლობა ბევრ დარგსა და საწარმოში.

სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა კაპიტალური მშენებლობის დარგში. როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედში წლიური გეგმების შემუშავებისას სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად დამატებით გადამიყო თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. მაგრამ მეელ რიგ დარგებში, საიჯარო ორგანიზაციებისა და შემკვეთი უწყებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, აუთვისებელი დარჩება დამატებით გამოყოფილი თანხის თითქმის 40 პროცენტი, განსაკუთრებით დიდი თანხებია აუთვისებელი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე, აგრეთვე საბინაო მშენებლობაში. კაპიტალურ დაბანდებათა აუთვისებლობა დიდი მოცულობით შეინიშნება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ობიექტებზე.

ამგვარი მდგომარეობა, გარდა იმისა, რომ აფერხებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, დიდ სიძნელეებს გვიქმნის შემდგომ პერიოდებში საკავშირო ორგანიზებთან კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის მაჩვენებლების შეთანხმებისა და დასაბუთების დროს. ნაკლოვანებები და გადაუჭრელი ამოცანები გვაქვს არა მარტო მატერიალური წარმოების დარგების განვითარებაში, არამედ მომსახურების სფეროშიც. მთლიანად და ხარისხიანად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება ცალკეულ საქონელსა და ზოგიერთი სახეობის მომსახურებაზე.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენთვის წარმოდგენილი გეგმის პროექტის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით იმ მოსაზრებით, რომ 1981 წელი წარმოადგენს მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის დაჩქარებული ეკონომიკური და ინდუსტრიული ზრდის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის საწყის ეტაპს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში რესპუბლიკის ეკონომიკის ჩვლილის შემდგომი გადიდება და მოსახლეობის კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესება.

აღნიშნული მთავარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის შესაბამისად, 1981 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს:

— მატერიალური წარმოების ყველა დარგის მყარ განვითარებას, ინდუსტრიული დარგების, განსაკუთრებით მრეწველობის იმ დარგების უპირატესი ზრდის პირობებში, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავენ, რათა ეკონომიკის სპეციალიზაციის გაღრმავებისა და კომპლექსური განვითარების საფუძველზე გიფართოვდეს საქართველოს სსრ მონაწილეობა შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში;

— წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და ახალად ამოქმედებულ სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარების, შექმნილი საწარმოო აპარატის უკეთ გამოყენების. ფონდუკუგებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, აგრეთვე, მატერიალურ-სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მკაცრი მომკირნეობის საფუძველზე;

— რესპუბლიკის წვლილის შემდგომ გადიდებას ქვეყნის სასურსათო კომპლექსში „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის, შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილებიან გამომდინარე ამოცანათა თანამიმდევრულად შესრულების საფუძველზე, განსაკუთრებით ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასა და კვების მრეწველობის გადამმუშავებელი დარგების სიმძლავრეთა ზრდას;

— მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ვრცელ ღონისძიებათა განხორციელებას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის, საცალო საქონლბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გადიდების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების და ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის ქსელის გაფართოების, სპორტსა-კომფენალური მშენებლობის პროგრამის საფუძველზე.

დასახულ ამოცანათა შესაბამისად მომავალ წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ასეთი ტემპი და პროპორციები ყალიბდება.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 1981 წელს მიმდინარე წლის მოსალოდნელ დონესთან შედარებით 4,2 პროცენტით გადიდდება, რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლისა კი 5 პროცენტით.

გეგმის პროექტი საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის დასახული ზრდის უზრუნველყოფას ითვალისწინებს მისი ეფექტიანობის განუხრელი ამაღლების საფუძველზე. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება მომავალ წელს 4,6 პროცენტით უნდა გადიდდეს, რაც ეროვნული შემოსავლის დაგეგმილი მატების საერთო მოცულობის 86,8 პროცენტს მოგვცემს. გათვალისწინებულია საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ფონდუკუგება 0,3 პროცენტით გადიდდება, საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა კი 0,7 პროცენტიდ უნდა შემცირდეს.

ეფექტიანობის ზრდის მთავარი ფაქტორი კვლავ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება იქნება. მომავალ წელს ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 5 პროცენტით გადიდდება, შრომის ფონდაღჭურვილობა კი 4,8 პროცენტით.

საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბისა და ეფექტიანობის ზრდა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება საშუალებას მოგვცემს თანამიმდევრულად გადავჭრათ სოციალური განვითარების ამოცანები. 1981 წელს საზოგადოებრივ მეურნეობაში დამატებით იქნება ჩაბმული 34,8 ათასი კაცი, რის შედეგად შრომითი რესურსების დასაქმების დონე კიდევ უფრო ამაღლდება.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას შექმნის მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის გადიდება 5,7 პროცენტით, აქედან მოხმარების ფონდისა — 6,9 პროცენტით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების კურსის გაგრძელების უწყვეტ პროცესზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური და სოციალური ზრდის ძირითადი პარამეტრები 1981 წლისათვის რესპუბლიკაში უფრო მაღალ დონეზე იგეგმება, ვიდრე საშუალო საკავშირო მაჩვენებლები. მაგალითად, მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი რესპუბლიკაში ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 2,3 პუნქტით უფრო სწრაფად გაიზრდება, სამრეწველო პროდუქცია—0,8 პუნქტით, საცალო საქონელბრუნვა — 1,6 პუნქტით და ა. შ.

1981 წლის გეგმის პროექტში სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგის — მრეწველობის განვითარების ტემპი და პროპორციები განსაზღვრულია რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დონის შემდგომი ამაღლების ამოცანების შესაბამისად.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1981 წელს 9190 მილიონ მანეთს მიაღწევს, რაც 1980 წლის გეგმის მოსალოდნელ შესრულებაზე 430 მილიონი მანეთით, ანუ 4,9 პროცენტით მეტია. შედარებისათვის საკმარისია გავიხსენოთ, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელს სამრეწველო წარმოების აბსოლუტურმა ფაქტობრივმა მატებამ 366 მილიონი მანეთი შეადგინა.

მრეწველობის განვითარების დასახული მაჩვენებლების მიღწევა ნავარაუდევია მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესების, ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარების, ობიექტების საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემის, გადასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მოცულობის გადიდების, სურსათის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის სრულყოფის საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანედლეულო ბაზის განვითარების ერთგვარი შეზღუდულობის გამო მრეწველობის ცალკეულ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა ნაწილი არ არის სრულად დატვირთული. ამასთან დაკავშირებით 1981 წლის გეგმა უნდა განვიხილოთ როგორც მინიმალური ზღვარი.

1981 წელს რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალის გაძლიერების ამოცანა დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსის შემდგომ განვითარებასთან. ელექტროენერგიის გამომუშავება 15280 მილიონ კილოვატსაათს მიაღწევს, რაც 678 მილიონი კილოვატსაათით, ანუ 4,6 პროცენტით გადააჭარბებს 1980 წლის გეგმის მოსალოდნელ შესრულებას.

1981 წელს გაგრძელდება ხუდონისა და ენინგალის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყება ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე რიგის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს მეთერთმეტე ხუთწლედის შემდგომ წლებში რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მყარი ელექტროენერგეტიკული ბაზის შექმნას.

ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვნად გაიზრდება და 4 პროცენტით გადაამეტებს მიმდინარე წელს ნავთობის მოპოვების მოსალოდნელ მოცულობას. ნავთობის მოპოვების შედარებით ნელი ტემპი დაკავშირებულია იმ სიძნელეებთან, რომლებიც მეათე ხუთწლედის მანძილზე შეიქმნა ნავთობის მარაგის დადგენის სფეროში. ნავთობის გადამუშავება მილიონობით ტონას მიაღწევს, რაც 3,1 პროცენტით სჭარბობს 1980 წლის მოსალოდნელ შესრულებას.

ქვანახშირის ამოღება „საქქვანახშირის“ სამრეწველო გაერთიანების მაღაროებში 3,2 პროცენტით გადიდდება.

1981 წლის გეგმით გათვალისწინებულია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ახალი აგლომერაციული ფაბრიკის მშენებლობისა და მარტენის საამქროს რეკონსტრუქციის სამუშაოთა გაგრძელება, აგრეთვე მწყობრიდან გამოსული სიმძლავრეების შევსება ჰიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატში.

1981 წელს ფერადი მეტალურგიის საწარმოთა პროდუქციის მოცულობა დაახლოებით 1980 წლის გეგმის მოსალოდნელი შესრულების დონეზე იგეგმება, რაც დაკავშირებულია მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონოს ამ ჩამორჩენის საბოლოო დაძლევისათვის და წარმოების და შრომის სწორი ორგანიზაციით კომბინატის მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების „არსებითი გაუმჯობესებისათვის.

ქიმიური მრეწველობა სულ უფრო მნიშვნელოვან დგილს იკავებს რესპუბლიკის ინდუსტრიულ კომპლექსში. მეათე ხუთწლედის მანძილზე დარგის საწარმოო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებანი უკვე 1981 წელს მოგვცემენ გარკვეულ ეფექტს. დასაგეგმავ წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობა 20,5 პროცენტით იზრდება. განსაკუთრებით სწრაფი ტემპია დასახული. სინთეზური ამიაკის, კაპროლაქტამის, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების წარმოებაში.

დარგის საწარმოო-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას 1981 წელს 44,5 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება მოხმარდება, რომლის 38,2 პროცენტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის არის გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ინდუსტრიული დონის ამაღლების გრძელვადიანი პროგრამის შესაბამისად 1981 წლის სახელმწიფო გეგმაში შეუნელებელი ყურადღება ეთმობა მანქანათმშენებლობის დაჩქარებულ და უპირატეს განვითარებას.

გარკვეული პროგრესული ძვრები განხორციელდება მანქანათმშენებლობის შიდადარგობრივ სტრუქტურაში, რაც მიღწეული იქნება შედარებით პროგრესულ, მეცნიერებატევად და ნაკლებ მასალატევად ქვედარგების უპირატესი ტემპით განვითარების მეოხებით. სახელდობრ, დასახულია ელექტრონული, ელექტროტექნიკური მრეწველობის, კავშირგაბმულობის საშუალებების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვების ზრდის სწრაფი ტემპი.

1981 წლის გეგმის პროექტით მანქანათმშენებლობის საწარმოთა განვითარებისათვის გამოყოფილი 143,4 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება მოხმარდება ახალი სიმძლავრეების ამოქმედებას, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოებას, ახალ საწარმოთა მშენებლობას. სახელდობრ, ამოქმედდება ქარხნების „ბურიის“, „ავანგარდის“, „საქსოფლმანქანის“ და სხვათა ძირითადი ფონდები და საწარმოო სიმძლავრეები, გაგრძელდება ახლქალაქის სპეციალური ბაზების მოწყობილობის ქარხნის მშენებლობა, აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელი ქარხნის, ცხინვალის „ვიბრომანქანის“ რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები.

დაიწყება ბათუმის გემთსაშენებელი და ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნების რეკონსტრუქცია, გათვალისწინებულია მარნეულის ძმიმე ჩარხმშენებლობის ქარხნის მშენებლობის დაწყებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

1981 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის შემდგომ განვითარებას მერქნის გადამუშავების გაუმჯობესების, ეფექტიანი შეცვლელების ფართო გამოყენების, მოქმედი სიმძლავრეების უკეთ დატვირთვის, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების გზით.

საშენ მასალათა მრეწველობის განვითარება 1981 წელს ითვალისწინებს ადგილობრივი სანედლეულო რესურსების რაციონალური გამოყენების გზით სამშენებლო მასალებზე, კონსტრუქციებსა და ნაკეთობებზე სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

მეთერთმეტე ხუთწლედის შემდგომი წლებისათვის წარმოების მოცულობის არსებითი გადიდების საფუძველს შექმნის კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის მესამე და მეოთხე ღუმელების რეკონსტრუქციის დამთავრება.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლება, მისი ნიადაგ მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია მსუბუქი მრეწველობის განვითარების დონით. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და სხვა საქონელზე საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალური დატვირთვისა და საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუჯობესების ბაზაზე.

1981 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია რესპუბლიკის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ცალკეულ რგოლებში არსებული დისპროპორციების დაძლევის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლთა განხორციელებაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გავზარდოთ კვების პროდუქტების წარმოების მასშტაბი.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 1,9 პროცენტით გაიზრდება და 785 მილიონ მანეთს მიაღწევს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიზრდება ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ფხვნილი შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების და სხვათა გამოშვება, აგრეთვე, თავის მხრივ, შესაბამის სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გადიდებით იქნება მიღწეული.

1981 წელს რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის განვითარების ამოცანაა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებული ყურძნის დროული გადამუშავებისა და მაღალხარისხოვანი სამარკო, სუფრის და შამპანური ღვინოების ჩამოსხმის არსებითი გადიდების უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული ჩაის მრეწველობის განვითარებაშიც. სამრეწველო გაერთიანების „საქართველოს ჩაის“ საწარმოებში პროდუქციის წარმოების მოცულობა 880,4 მილიონ მანეთამდე უნდა გაიზარდოს, რაც 31,4 მილიონი მანეთით, ანუ 3,7 პროცენტით აღემატება 1980 წლის გეგმის შესრულების მოსალოდნელ დონეს.

1981 წელს კიდევ უფრო განვითარდება ხორცისა და რძის მრეწველობა და თევზის მრეწველობა.

კვების მრეწველობის დარგთა აღმავლობას ხელს შეუწყობს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება, უპირველეს ყოვლისა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლების საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული ამოცანების შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, რომლის ზრდის ტემპი 1981 წელს 4,9 პროცენტით განისაზღვრება, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობაში — 3,9 პროცენტით, საკავშირო-რესპუბლიკურ მრეწველობაში — 7 პროცენტით და რესპუბლიკურ მრეწველობაში — 6,1 პროცენტით. უპირველესი ტემპით ვითარდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოება.

